

გაზათხელი შემოსულა, ლენ.
 მუღღები გაუწყვიათ ჩიფქმს...
 მე გიყიდი წითელ-ყვითელ ჩითქმს,
 თუთბი ცილთ მთმბიქატგე შენ!
 გაზათხელი შემოსულა, ლენ!

მთგანატრე სათიბი და ცყე,
 სენი ქესლით გასტყსილი ანქლის,
 შთბს გემბათი მეთანბის ცაბბის
 და ცისტყბი, უბმბკილთ დღე...
 მთგანატრე სათიბი და ცყე!



აწი აღატ გაგაჩტებ შინ,
 აწი თჯასს ვტ დატბმეჯ „დილოგს“,
 მკვბტცსლი მბქი შუყყენე მბლივს -
 მწყატბვბთ გამბსცენე წბნ!
 აწი აღატ გაგაჩტებ შინ!

გაზათხელი შემოსულა ლენ,
 ბბა-ბბა გაუმატთავთ ჩიფქმს...
 მე გიყიდი ყვავბლიბან ჩითქმს,
 თუთბი ცილთ მთმბიქატგე შენ!
 გაზათხელი შემოსულა, ლენ!

გადღობა დედავ, რომ გაგულს გბბრი უზარდა აბდენი...


მამული

ქართულ ებბრანბთა გაზათი აბბრიქბლან



ჩ ა
 აცბბბბს
 ბუბს?

მბბბბბბბბბბბბ ბბ ბბბბბბ...



ბუბუ ბბბბბ ბბბბბბ ბბბბბბ ბუბბბბ

ბბბბბბ?

*ბუბბბბბბ ბბბბბბბბ,
 აბბს ბუბბბბბბბ!*

ბე გეგა კობახიბის დედა ვარ!

ბბბბბბბბბბბბ ბბბბბბბბბბბ, ბბბბ ბბბბბბბს სბბბბბბბ ბრ ბბბბბ

ღია წერილი გაზეთ „მამულის“ რედაქტორს მანუჩარ კაჭახიძეს

„ეს ცხოვრება ისეთია, რომ ზოგი ჩემი ხარისხით ნებით უწყვეტ მას, ზოგს ძალით აწვევენ სასაკლავო... ისეთი ხარისხი ვიცი, მთის დასაწყისში რომ გაუშვებენ, მიდის თავის დასაკლავ ადგილამდე თვითონვე... ზვიადურივით ხარებიც მინახავს, უკვე ყელში ხანჯალ-გაყრილი წამოხტომიდა და გაქცეულან, იმდენად სწუხრებიან სიცოცხლე.“

აი, ასეთი ხარისხით უნდა იყოს კაციც. ზვიადურივით ხარს უნდა ჰგავდე და ფიქრობდე თუნდაც ერთი მცირე რამ გააკეთო იმისათვის, რომ არ დაწვე, არ დაგვარდე, არ ჩაიჩეხო წუთისოფლის ბილიკებიდან შენი სამშობლოსათვის.“ (გოდერძი ჩოხელი)

ბატონო მანუჩარ, წიკიპურტი რაც არის, თითოეულმა ქართველმა კარგად იცის. მართო ბავშვობიდან რამდენია გასახსენებელი, ღიმილი მოგადგება პირზე ადამიანს. აი, ცხოვრების ორომტრიალით გამოწვეულს კი რა მძიმედ აღიქვამს სული. თქვენიც მესმის და იმ მშვენიერი მანდილოსნებისაც ვარდების რევოლუციის გამო რომ სცადეს თქვენი „წიკიპურტება“. რას იხამ, ქართველები არა ვართ?! „მე ვარ და ჩემი ნაზადი“ - თავი ყველას მართალი გგონია.

თქვენის ნებართვით, მეც ჩავერთვები „წიკიპურტობაში“, დუმილი ყოველთვის არ არის ოქრო და თქვენს მიერ განმარტებული წიკიპურტის პარალელურად პრაგმატიზმს განვმარტავ:

პრაგმა - ბერძნული სიტყვა, საქმეს ნიშნავს. პრაგმატიზმი ტიპური კლასიკური ამერიკული მენტალიტეტის გამომხატველია. პრაგმატიზმი არის მესაქმეობის, ბიზნესის ფილოსოფია. მიანია, რომ ადამიანისათვის ჭეშმარიტია ის, რაც მისთვის სარგებლის მომტანია. უმთავრესი აქცენტი გაკეთებულია წარმატებაზე, კარიერაზე, წინსვლაზე, ფულის მოპოვებაზე. ამიტომ, ქვეყანაში საზოგადოების ლიდერები არიან წარმატებული ბიზნესმენები და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანები. პრაგმატიზმის ხსენების საჭიროება აკაკი ბაქრაძის სიტყვებით მიიწინათ:

„ადამიანს ორი გზა აქვს - ღვთიური და ეშმიური. ორივე გზაზე ძლიერი პიროვნება დგას. სუსტი არც ღვთიურის მიმდევარია და არც ეშმაურის; თუ ძლიერი პიროვნება ღვთიურ გზას დაადგება, ქვეყანას ააშენებს, თუ ეშმაურს, ქვეყანას დააქცევს. ადამიანთა უმრავლესობა არაფრობის წიაღში შესანიშნავად გრძნობს თავს და განცხრობით ცხოვრობს. მცირე ნაწილი ეშმაურს ეტრფიალება. მხოლოდ რჩეულნი მიისწრაფიან ზნესრულობისაკენ. მაგრამ მართო მისწრაფება არ კმარა. უნდა იცოდეს რა გზით იარო. ადამიანის ერთ-ერთი უპირატესი ამოცანაა ერის სამსახურია. კაცობრიობას ემსახურება ის, ვინც ემსახურება თავის ერს. ის ვინც თავის ერს არ ემსახურება, არაფრობის ყმაა.“

გეთანხმებით, გაზეთი პიროვნული შეურაცხყოფის ტრიბუნა ნამდვილად არ არის. მაგრამ განსხვავებული აზრისათვის ციტადელადაც არ უნდა იქცეს. ზემოთხსენებულმა მანდილოსნებმა, ვფიქრობ „მოყვარეს პირში უძრახეს“ მიზნით წაიწიკიპურტეს, თქვენი წყენინება ნაკლებად უნდო-

დათ. ისინი, როგორც მე (დარწმუნებული ვარ), ნამდვილად ამაყოლებენ თქვენი თანამემამულეობით (მხედველობაში მაქვს თქვენი რეგალიების ჩამონათვალი). ასეთმა ახალგაზრდამ ამდენი მოასწარი და სამშობლოდან შორსაც გულმოდგინებით ემსახურებით ქართულ სიტყვას.

მათი მისამართით მიიწინათ ვთქვა, რომ გასაკვირი არ არის ამერიკაში ყველანაირი აზროვნების ქართველი მოხვედრილიყო. ზვიადურივით ხარობას ყველას ვერ მოსთხოვ, მაგრამ მიიწინათ ლაღატა საკუთარი ქვეყნის, საკუთარი ხალხის, ბოლოსდაბოლოს საკუთარი თავის მიმართ, „კოხს“ რომ განაპირა ადგილზე იშენებ (პირადად ნუ მიიღებთ) და ცდილობთ კარმიდამოსაც მაღალი ღობე შემოავლო, სადილი რომ არ ჩაგმწარდეს გაჭირვებულთა ცქერით. ამნაირებს ღმერთის არ უშინიათ: „რომელმან გასუსას თქვენ სასუმელი წყალისა და სახელად ჩემდა, რამეთუ ქრისტესნი ხარ, ამენ გეტყვი თქვენ, არა წარწყმდეს სასუიდელო მისნი“.

გაიხსენეთ შევარდნაძის გარემოცვა... ლოგიკური დასასრული უნდა ჰქონებოდა მათ პარპაზს დუხჭირი საქართველოში, თუ არ? თქვენ კი „გოგნი-გოგნობის ფესტისა“ უწოდებთ ზუსტად სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მიტინგს, ცხოვრებით ლ. სანიკიძის წიგნისათვის „309 ქართული სირცხვილი“ გაიმეტეთ.

ხალხმა ხმა აიმაღლა სიცრუის, უსინდისობის, დაუნდობლობის წინააღმდეგ, ყოველივე იმის მერე, რაც იყო (მხედველობაში მაქვს პარტიათა დაქსაქსულობა), კვლავ ერთ მუშტად შეიკრა, ხარები დაარისხა, „სალამურიც ააკვნესა“ და „დოლ-გარმონიც ააბლაგა“ შადიმანებისა თუ ივანოვების წინააღმდეგ, განა ეს დასაძრახია? „მოყვარედ“ მოსული მტერი ხომ ყოველთვის დაქსარული თვალებით უყურებდა ჩვენ მინდორ-ვესს. ნუთუ არ დადგება დრო „ისრის კონის“ იგავი გაითავისოს ერმა, ოდესმე გამოფხიზლდეს იგი? ანდა, როგორ გგონიათ შეწუხდებოდნენ 9 აპრილს დაღუპულთა სულელები „ნაფიერვერკალ“ ცა-ფირუზში? ისინი ხომ სიხარულით აშრილდებოდნენ მხარდამხარ მდგომი ქართველების ხილვით დედაქალაქის საამაყო გამზირზე? ისინი ზეციური საქართველოდან დალოცავდნენ სადათას ძილს თავდაღწეულ ერს, ახალ საქართველოს დალოცავდნენ. „გოგნი-გოგნობის ფესტივალი“ უნდა მოწყობილიყო, ვაი რომ ძალიანაც დაგვიანდა იგი. რამდენის სიცოცხლე უაზროდ წაიღო წლებმა... ქალსაც უნდა ეცე-

წიკიპურტობას ბრძოლა... მოკვდება უსაქართველოდ, თუა ნამდვილი ქართველი!

კვა და კაცსაც, ქართულიც და ვალსიც, დღისითაც და ღამითაც კვაჭანტირადებისა და სეთურების გულის გასახეთქად. თქვენ გიგრძენიათ ოდესმე ქართველების ერთად დგომის ფასი? მე ვერ კიდევ 1988 წლის ნოემბრის შიმშილობის პერიოდიდან მახსოვს ეს გრძნობა, არაფერი შეედრება - თითოეული გვერდზე მდგომი ქართველი დად და ძმად მიგაჩნია... რაც შეეხება ყველაფრის უარყოფის, უკუგდების ტენდენციას, ვერ კიდევ ბოლშევიკური წარსულის გადმონაშთია ესეც - საბჭოთა იმპერიის სახელთან დაკავშირებული. დრო საუკეთესო ცხრილია, ხომ იცით „აღთქმულ ქვეყანას იმან მიადწია, ვინც გზაში დაიბადა. მონობაში დაბადებული თავისუფლების ფასს ვერ გაიგებს.“

ბრძანებთ, თამრიკო ჭოგელიძისა და ეკა ბუჯანიშვილის სისხლში ბრალი მაშინდელ დროს, წყობილებას, დროთა გარდაქმნის პროცესებს მიუძღვის და არა პიროვნებებს... მაგალითად შევარდნაძესო. სადა არის ადამიანური მრწამსი? რამდენჯერაც უნდა შეიცვალოს წყობილება, იმდენჯერ უნდა გარდაიქმნას კაცი? თქვენმა სიტყვებმა საბჭოთა კავშირის 9 აპრილის კომისიის (ა. სობჩაკის მეთაურობით) დასკვნა მომაგონა, რომელიც ვერანაირ შვებას ვერ მოგვირგია 9 აპრილს დაღუპულთა ოჯახის წევრებს. ასეთმა საზოგადოებრივმა მთავარ დამნაშავეებს გვერდებ აუარა და განტყვების ვაცები წააჩოქა. დიახ, დამნაშავეები მაშინაც დაუსჯელნი დარჩნენ, როცა პირტიტელა, გამოუცდელი ბიჭები დასამარდნენ სამაჩაბლოში და აფხაზეთის მიწაზე, მხედართმთავრებმა თავს უშველეს, მავანთათვის ისინი საზარბაზნე ხორცები აღმოჩნდნენ, საკუთარი შვილები სახლგარეშე გაიხიზნული ჰყავდათ „ცოდნის ტაძრებს შეფარებულნი“.

დამნაშავეები დღესაც დაუსჯელები არიან, როცა ძირძველ მიწას მოწყვეტილი ლტოლვილები საკუთარ სახლ-კარს სიხარულით ხედავენ; აკადემიკოსები ბაზრობებზე საკუთარ პიჯაკებსა და წიგნებს ჰყიდნიან; 14-ლარიანი პენსიონრები დღესაც „დაგანან და ელიან“ პასუხს: სადა გაქრა მათი დანაზოგი? რომელმა გაკოტრებული ბანკის მმართველმა აგო პასუხი? ავადმყოფი ექიმთან ვერ მისულა, ექიმი ჩარჩხს დაემსგავსა (ესაა ჯანმრთელობის რეფორმა?); ადამიანებს ფსიქიკური აშლილობანი დაეწყო... თვითონ ამ წერილს წამდღვარებული ეპიგრაფის ავტორის განაჩენი საკუთარი თავის მიმართ, არ იყო ეს პროტესტი გაუსახარისი ცხოვრების გამო? ხალხს ასეთი მწერალი ჰყავდეს და ვერ მოუაროს? სადა არის მთავრობა? საირმის ქუჩაზე... რესტორნებში... კაზინოებში... ღმერთი აღარ არის?! და ეს ხდება სადა? იმ პოლიტიკოსის ქვეყანაში, გერმანია რომ გააერთიანა და საკუთარი სამშობლო გუბერნიებად დაჭყო; იმ ქვეყანაში, სადაც გაიკავა და საზღვარგარეთ გაიყიდა ძვირფასი ხე-ტყე, წიაღისეული, ფაბრიკა-ქარხნული დანადგარები; სადაც ცივა, ბნელა... მართო გაჩახახახებული თბილისი ვერ გაანათებს სრულიად საქართველოს. რამდენი ხანია არ უოფილხართ სამშობლოში? გაივსო მეტროს შესასვლელი და მიწისქვეშა გადასასვლელი მთხოვრებთა და მაწანწალა ბავშვებით... უსასრულო დაპირებები, აღარანაირი იმედის ნაპერწკალი მომავლისა... ოკეანის გაღმდიდან ეს არ სჩანს, არა?

რაც შეეხება 23 ნოემბრის მოვლენებს, საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად ზოგჯერ რამოდენიმე საათიც კმარა. მსოფლიოს უნდა დაენახა „ორ ზღვას შუა“ და „კაკასის ქედთან“ მცხოვრები მცირერიცხოვანი ერის შემართება, დასავიწყებლად და გასათელად რომ ენანება თავიანთი წარსული. მას იმგვარი „კულტურული მსოფლიოს კულტურის შემადგენელი ნაწილს შეადგენს. მის გარეშე თავად კულტურის ცნება გაუფასურდებოდა და ამიტომაც აქვს სახელმწიფოდ არსებობის უფლება და პრეტენზია“. თქვენ კი გული გწყდებათ: საქართველომ შევარდნაძის გარეშე გაიღვიძა და შევარდნაძემ საქართველოს გარეშე.

საქართველომ გორგასალის გარეშეც გაიღვიძა, აღმაშენებლის გარეშეც, თამარის გარეშეც... თითოეული წმინდანად შერაცხა ხალხმა და ეკლესიამ. შევარდნაძის „მამა-მარჩენლობა“ კი ერთ-ერთ ლიტერატურულ გმირს მაგონებდა: „ხაჭაპურს მიტომ ვჭამ სვენებ-სვენებით, ჩემს ხალხს შეერგოსო...“ ამის შემდეგ რა გასაკვირია „დარდუბალაშიც“: „შენც წადი, შენც წადი“ უმღერონ და თქვენგან ნახსენები სიმღერაც „გოგნი-გოგნობის ფესტივალი“ კონკურსგარეშე გაიტანონ. როცა სეთი პრეზიდენტი ნათესაურ კლანსა და კონფორმისტ გარემოცვას ვერ უმკლავდება, მისი შესაძლებლობები ამოწურულია და სანამ ხალხი პატივს კიდევ სცემს, უნდა გადადგეს.

„მე არც სააკაშვილის მეხოტბე ვარ და არც ჟვანიას გუნდრუკის მკმეველი“ (დრო და საქმე გამოაჩენს მათ კაი-კაცობას), მაგრამ ვთვლი, რომ დრომ ახალგაზრდობის წისქვილზე უნდა დაასხას წყალი. თქვენ, ახალმა თაობამ უნდა თქვათ ახალი სიტყვა ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის გზაზე. ეს ლოგიკურია, რადგან ჩემმა თაობამ შესაძლებელი ვერ შეძლო და საერთოდაც „არავინ შთაასხის ღვინო ახალი თხიერთა ძუელთა რაითა არა განხეთქეს ღვინომან ახალმან თხიერნი იგი და ღვინო დაითხიოს და თხიერნი წარწყმდნენ, არამედ ღვინო ახალი თხიერთა ახალთა შთაასხიან“, მარკოზი, 22

და ბოლოს, მართლაც და „რის მაქნისია გზა, რომელიც ტაძართან არ მიდის?“. იქნებ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, რომელსაც ამდენი ეკლესია ტაძარი შემორჩა და უშენდება დღესაც, მართლაც აღარ არის ასეთი გზა? შეუძლებელია ხნესრული, პირველ ხატს მიმგავსებული ადამიანები არ გამოჩნდნენ კვლავაც... არადა, გაიხსენეთ, როგორ იცის გაზაფხულზე კრწანისის ველმა გადაწითლება. ხალხმობა მთელი დაღანა ჟაჟაჩოც ხომ მიწდვრის დედოფანოვანი ერის შემართება, დასავიწყებლად და გასათელად რომ ენანება თავიანთი წარსული. მას იმგვარი „კულტურული მსოფლიოს კულტურის შემადგენელი ნაწილს შეადგენს. მის გარეშე თავად კულტურის ცნება გაუფასურდებოდა და ამიტომაც აქვს სახელმწიფოდ არსებობის უფლება და პრეტენზია“. თქვენ კი გული გწყდებათ: საქართველომ შევარდნაძის გარეშე გაიღვიძა და შევარდნაძემ საქართველოს გარეშე.

საქართველომ გორგასალის გარეშეც გაიღვიძა, აღმაშენებლის გარეშეც, თამარის გარეშეც... თითოეული წმინდანად შერაცხა ხალხმა და ეკლესიამ. შევარდნაძის „მამა-მარჩენლობა“ კი ერთ-ერთ ლიტერატურულ გმირს მაგონებდა: „ხაჭაპურს მიტომ ვჭამ სვენებ-სვენებით, ჩემს ხალხს შეერგოსო...“ ამის შემდეგ რა გასაკვირია „დარდუბალაშიც“: „შენც წადი, შენც წადი“ უმღერონ და თქვენგან ნახსენები სიმღერაც „გოგნი-გოგნობის ფესტივალი“ კონკურსგარეშე გაიტანონ. როცა სეთი პრეზიდენტი ნათესაურ კლანსა და კონფორმისტ გარემოცვას ვერ უმკლავდება, მისი შესაძლებლობები ამოწურულია და სანამ ხალხი პატივს კიდევ სცემს, უნდა გადადგეს.

ჩიტი ცაშია ლამაზი, მოკვდება, ფრენას ვერ მოშლის, მუხა იზრდება ჭალაში, ქართველი საქართველოში. ვაშლის ხეს ვაშლი უხდება, სიმწიფით ღამენათევი, ვენახს ვაზი და ფოთოლი, საქართველოს კი ქართველი. ვით თევზი უწყლოდ ვერ გაძლებს, უთოვლოდ თოვლის ფანტელი, მოკვდება უსაქართველოდ, თუა ნამდვილი ქართველი!

P.S. მიტევების დღეს ეგებ მეც გაგახსენდეთ და მომიტევოთ, რამეთუ დედად მეც გერგებით.

პატივისცემით: გიული წერეთელი



საქონელი ქუჩიდან

ჩაჭრა ღარბი ქროსი უსლო?

ეროსი მანჯგალაძე 1925 წელს სამტრედიის რაიონში, სოფელ ღანიშოში დაიბადა. მამა, აკაკი მანჯგალაძე, პროფესიით ეკონომისტი გახლდათ. დედას, თამარ ბენდუქიძეს, ქუთაისის გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. მათ სამი შვილი ჰყავდათ – რეზო, ეროსი და ბელა. მშობლები თეატრის დიდი მოყვარულები ყოფილან, თუმცა მომავალ მსახიობზე ამას არ მოუხდენია გავლენა. 1932 წელს ოჯახი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. ზაფხულობით კი დედუღეთში, რაჭაში ჩადიდნენ, სადაც მოუთმენლად ელოდათ ბებია, რომელსაც ეროსი შვილიშვილებისაგან გამორჩეული ჰყავდა.

ეროსი ხშირად და იერიაც ბებიას და დედას ჩამოჰკავდა. როცა 12 წლის იყო, დედას უბედურება დაატყდა თავს – ხიდან ჩამოვარდა და სამუდამოდ მიუჯავკა ღოგინს. ამ გარემოებამ განსაკუთრებული ატმოსფერო შექმნა ოჯახში. ბავშვები ერთმანეთზე ზრუნვას, პასუხისმგებლობას მიჰქვიენენ. ეროსი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა პატარა დისადმი, ართობდა და ძილის წინ ათას ზღაპარს უამბობდა, თან ყვავილებისათვის ღამაზ ქოთნებს ჰპირდებოდა. მუდმივი მზრუნველობა დისადმი სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა, ხოლო გულისხმიერება, თანადგომა, დაევედრებისა და ანგარების გარეშე, მისი ცხოვრების წესად იქცა.

მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, არასოდეს კარგავდა ხალისს. ახალგაზრდობაში ფეხბურთით ყოფილა გატაცებული. დიდხანს სადამომდე ეზოში თავის თანატოლებთან ერთად თამაშობდა. ძალიან უყვარდა კინოც, განსაკუთრებით ჩარლი ჩაპლინის სურათები. რაც შეეხება მის სამსახიობო კარიერას, იგი ერთმა ფაქტორმა განაპირობა: მეცხრე კლასის მოსწავლეს სკოლის სპექტაკლებში - "პატარა კახი" და "რდევია"- მთავარი როლი უთამაშია და დიდი მოწონება დაუმსახურებია, თვალდა აღფრთოვანებულა და მსახიობობა გადაუწყვეტია. ამ სპექტაკლების რეჟისორმა, მახაბულმა, ეროსის მამას, ბატონ აკაკის, სთხოვა, რომ ბიჭისთვის მსახიობობაში ხელი არ შეეშალა. ძმები თურმე ხშირად კამათობდნენ თავიანთ მომავალ პროფესიაზე, რეზო ეხუმრებოდა მამას, ბილეთების გამოგზავნა არ დაეგვიწყდესო.

1940 წელს რეზო ომში წაიყვანეს. მისგან მხოლოდ ერთი ბარათი მოუვიდა ოჯახს. ეროსის არასოდეს უთქვამს მამაზე - დაიღუ-

პაო, ამის თქმას სხვასაც უკრძალავდა. იმ პერიოდში გამოცხადდა რადიოდიქტორთა კონკურსი, სადაც ეროსიმ გაიმარჯვა. დაბაბული ვითარება და გაჭირვება იყო, ხალხი გაფაციცებით ელოდა ომის ამბებს, დღემდე იხსენებენ თბილისელები - ჩვენც გეყავდა ჩვენი დევიტანი - მანჯგალაძეო, მაგრამ, რადიოში მუშაობამ მსახიობობის წყურვილი ვერ მოუკლა და 1941 წელს მისადები გამოცდები თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა, თუმცა თავდაპირველად ეროსი ჩარიცხულთა შორის არ აღმოჩნდა. იანვრამდე თავისუფალ მსმენელად დაუშვეს. ეს იყო პირველი სერიოზული დაბრკოლება მის ცხოვრებაში. იგი უზომოდ მორცხვი და მორიდებული იყო, როგორც სცენაზე, ასევე პირად ცხოვრებაში. მსახიობთათვის დამახასიათებელი სითამამე მას ნაკლებად ჰქონდა, მაგრამ მისთვის თეატრი გატაცებაზე მეტი იყო. წარმატება და აღიარება მასთან მესამე კურსზე მივიდა, როცა რუსთაველის თეატრში უკვე ცნობილ მსახიობებთან ერთად ტოვსტონოვოვის "მდაბიოში" ტეტერვის როლი ითამაშა...

ეროსიზე მის უახლოეს მეგობრებს, ჯემალ დადანიძესა და ბორის წიფურას ვესაუბრეთ და ბორის წიფურას ვესაუბრეთ და შევეცადეთ დიდი მსახიობის პორტრეტის რამდენიმე შტრიხი გაგვეცოცხლებინა.

j email RaRani Ze:

- მე და ეროსი ერთი სოფლიდან ვართ, ღანიშიდან. ჩვენი მამები თურმე ერთმანეთს იცნობდნენ, მაგრამ მე არ ვიცნობდი ეროსის, გავიცანი მაშინ, როცა თეატრალურ ინსტიტუტს ვამთავრებდი. სადიპლომო სპექტაკლი გექონდა და ტრადიციულად სამხატვრო საბჭოს წევრებს უნდა ენახათ, ვინ ამთავრებდა ინსტიტუტს. მათ ეხებოდათ განაწილებაც. ეს იყო 1956 წელს. ეროსიც ამ საბჭოს წევრი გახლდათ. რომ წაუკითხავს პროგრამაში დადანიძეს, ეს ნამდვილად ღანიშელი იქნებოდა, უთქვამს. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ შემოვიდა კულისებში და იძახის: ღანიშელი რომელი ხართო. მას შემდეგ შემერქვა ეს მეტსახელი.

თეატრის გარეთ ეროსი უფრო გასხნილი იყო, უყვარდა ქიფი და დროსტარება. მარტოხელა კაცი იყო და ამიტომაც აძლედა თავის თავს იმის უფლებას, რომ სახლში ხშირად მიეყვანა მეგობრები, პურმარილი გაემართა თავდაც წასულიყო საქიფოდ. ბარნოვზე ცხოვრობდა. ყოველთვის მეგობრების წრეში ნახავდით. ძალიან ახლოს იყო მიშა

მესხთან, თუმცა მათ შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა იყო. შემდეგ მეც შევეურთდი მათ და ვიყავით სამეფლი. პურმარილზე ყოველთვის ერთად დავდიოდით. ცოტა შემეძლო სიმღერა და ავიყოლიებდი ხოლმე ეროსისაც. მასაც უხაროდა, ერთად რომ ვმღეროდით. მორცხვი კაცი იყო, საკუთარი თავი ყოველთვის კონტროლის ქვეშ ჰყავდა. ეროსის თუ ვინმე პრემიერაზე ნახავდა, აუცილებლად უნდა ენახა ხუთი-ექვსი სპექტაკლის შემდეგაც. ყოველი პირველი სპექტაკლი ცა და დედამიწასავითს განსხვავდებოდა მეექვსესაგან. სამტრედიამ ეროსის 50 წლისთავი გადაუხადა. შესანიშნავი, დაუვიწყარი შეხვედრა მოუწვეს. მე ჩემი მანქანით ვიყავი. ჩაფიქრებული ჰქონდათ, სამტრედიიდან ღანიშში ეტლით ჩაეყვანათ. იქაც პურმარილი ჰქონდათ გაშლილი. ალბათ 500-მდე კაცი იქნებოდა. როცა ეტლით მიჰყავდათ, ეროსი ფეხზე იდგა, მე უკან მანქანით მივდევდი. გზაზე ხალხი იყო ხელში ძღვენიტ გამოიფინილი. უკან გადმომხედა და თქვა - რა ხდება, კაცო, ვერ გამოგია, აკაკი წერეთელი ვარ თუ ვინ ვარ ასეთით. სად არ გვეპატივებოდნენ. ასე ოთხი დღე გასტანა, ყურში ჩამწურულა ერთმა, ბახმაროს გზაზე რესტორან "წყალთაშუაში" მივდივართო. ეროსიმ ეს არ იცოდა. ცოტა ხანს ჩუმად იჯდა, მერე მიხვდა და მკითხა, სად მივდივართო? ვუთხარი, ეროსი, გენაცვალე, იქითკენ გზა გადაკეტილია, მგონი, ესენი მოკლავს გადადიან, ზესტაფონით-მეთქი. რომ მივადეკით რესტორანს, მითხრა, შენც მიდალბეტო.

ჩვენი თეატრის მსახიობი, სოსო ლალიძე, ობოლი ბიჭი იყო. რეზო დადიძე მას ბიძათ ეკუთვნოდა. რეზომ და ეროსიმ თავის თავზე აიღეს მასზე მზრუნველობა. შემდეგ სოსომ ცოლი მოიყვანა - ბელა მირიანაშვილი და დამოუკიდებლად დაიწყო ცხოვრება.

თავიდან ბატონ ეროსის ვეძახდი, შემდეგ სიტყვა "ბატონო" მომასხნეინა. ძალიან გაუწინაურდი. ერთხელ სპექტაკლი "დაკარგული ბარათი" გექონდა. იქ ერთი ასეთი სცენაა - რაღაც სიტყვას ვამბობდი და ამ სიტყვის შემდეგ გამოაქანებდა ეროსი ხელს და მთელი ძალით ბეჭებში მარტყამდა. ერთხელაც, ასე თამაშის დროს, დავინახე, კულისებში ორკესტრის დასარტყამი ინსტრუმენტი - თევზები - დეეს. კულისებში რომ გავედი, ერთი ცალი ავიღე და ბეჭებში ჩავიდე, ზემოდან მოვიცივი კოსტუმში და დავეჯექი.

მეოცე საუკუნის ქართულ სცენასა და ქართულ ეკრანს ჰყავდა ეფრომენი - მოარული ხიბლი, იუმორი, ტემპერამენტი, ნიჭიერება, ინტელექტი, იმპროვიზაცია... დიახ, ეს ყველაფერი და კიდევ მეტი ერთ ადამიანში იყო თავმოყრილი, იგი ეროსი მანჯგალაძე გახლდათ, რომელსაც ქართველი მაყურებელი მხოლოდ სახელს - ეროსის ეძახდა და ამით ყველაფერი იყო ნათქვამი.



ველოდები, როდის დამარტყამს. გამოაქანა ხელი და მდრუზა, ვაიმე ერთი დაიყვირა. მერე მეუბნებოდა, შე, ოხერო, შენა, ეს რა მიქენიო.

სანამ "ნივას" იყიდა, მთხოვა, ტარება მასწავლეო. ვიქირავებ "მოსკიში". გასტროლებზე მივდიოდით ქუთაისში, მთელი გზა რიხინ-რიხინით ჩავედით. ამ მანქანით მოვიარეთ მთელი ქუთაისი, მაგრამ ძალიან გაუჭირდა ტარება, ძნელად იხსწავდა.

ყველას კარგად ახსოვს, რომ ეროსი მხარჯველი კაცი იყო, მაგრამ, აბა, ვინ დაახარჯვინებდა ფულს?! როცა მასთან სახლში ავდიოდით, მშვენიერ სუფრას ვშლიდით ხოლმე. მის ოჯახში ქალი არ ტრიალებდა და, ვისაც რა შეგვეძლო, იმას ვაკეთებდით. თვითონაც შეეძლო რაღაც-რაღაცების კეთება. მინდა, გავიხსენო ჩვენი ბოლო პურისტამა. ერთი მწვემსი მეგობარი გვეყავდა შინდისში, რომელთანაც კვირაში სამჯერ მაინც ავდიოდით. წავედით მე, რამაზი და ეროსი. კარგი დრო ვატარეთ. იქიდან რომ ჩამო-

ვედით, რობიკო სტურუას მამა გარდაეცვალა და მივედით. ეროსის მიცვალებულების ემწიოდა და ერთდებოდა პანაშვიდებზე სიარულს. ერთხელაც ვიდაცას უთქვამს მისთვის, მიცვალებულს ცერა თითზე თუ უკებენ, შიში გაგიქრებაო. გადარეული იყო - ეს რა გავიგე კაცოო. იმ დღეს ჩვენი მწვემსი მეგობარი ჩამოსული იყო რობიკოს მამის დაკრძალვაზე. რატომღაც გული შეუწუსდა, ცუდად გახდა. ეროსიმ უთხრა, მე წაგიყვანო და გააციოლა. თვითონ სახლში დაბრუნდა და სამ საათში აღარ იყო.

ეროსის ყოველთვის კაი ქალები ჰყავდა, ჩვენი თეატრიდანაც და ისედაც, მაგრამ ცოლი არ შეურთავს. ძალიან პატარა პერიოდი იყვნენ ერთად ეროსი და ელენე ყიფშიძე. ამბობენ, რომ ვიღაც ქალი უყვარდა, რომელსაც რატომღაც მისთვის ცოლობაზე უარი უთქვამს, ეროსიმ კი თავი მას შესწირა, ამიტომ მთელი ცხოვრება ცალად დარჩა. უთქვამს, მას თუ არა, სხვას არავის დასასრული მე-13 გვ-ზე >>>

მკითხველს კარგად ახსოვს ნუნუ ექიმი, ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირალებიდან“... მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ იგი რეალური პიროვნებაა და არა გამოგონილი პერსონაჟი. ამ ქალბატონს მერი ჰქვია, გვარად ჩავახაძე და დღეს ორთაჭალის მეხუთე ობოლატორში, რენტგენის კაბინეტში ლაბორანტად მუშაობს. პროფესიით ექთანია, თუმცა პატიმრები მერი ექიმს ეძახდნენ. მის დანახვაზე საპრობოლის „ბინადრები“ გონებას კარგავდნენ, თითქმის ყველა მერიზე იყო შეყვარებული, მათ შორის ახალგაზრდა მწერალი ნოდარ დუმბაძეც. ექთანს წერილებს სწერდნენ, ლექსებს უკითხავდნენ...

„ნუნუ ექიმი“ ამაჟამად 80 წლის გახლავთ. მომხიბვლელობა დღემდე შეინარჩუნა. მან ის პერიოდი გაიხსენა, როცა „თეთრი ბაირალებს“ ავტორი თავისი მომავალი წიგნის პერსონაჟებთან ერთად ციხეში იჯდა და ნუნუ ექიმზე ოცნებობდა.

ნუნუ ექიმი ღღუსაც ციხეში მუშაობს ლუმინალს კი, მართლა ხშირად ვაძლევდი პატიმრებს...



ნოდარ დუმბაძემ ციხეში შვიდი თვე გაატარა. გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში იგი უსამართლოდ დააპატიმრეს. ეს ისტორია რომანშიცაა მოთხრობილი. მწერალი და მისი მეგობარი, გვარად ამილახვარი, თბილისში, რესტორან „გემოში“ ქეიფობდნენ. იმ დღეს იქ კაცი მოკლეს, დამნაშავე „ქურდულ სამყაროში“ ცნობილი ავტორიტეტი გახლდათ. ის ვერ დააპატიმრეს, სამაგიეროდ ნოდარ დუმბაძე და მისი მეგობარი აიყვანეს. ახალგაზრდა ნოდარმა რამოდენიმე თვე ლიბონას, ტიგრანას, გოგოლის, ისიდორე ძიასა და შოშიას გვერდით გაატარა. რომანი „თეთრი ბაირალები“ 1971 წელს გამოვიდა. ძალიან ბევრმა პერსონაჟებში საკუთარი თავი ამოიცნო. თურმე გოგოლი რომანის მიხედვით დადგმულ სპექტაკლ „საბრალდებო დასკვნას“ ხშირად ესტუმროდა, ტიგრანა და ლიბონა კი ნოდარს მწერალთა კავშირში სტუმრობდნენ ხოლმე. ქალბატონ მერის ისინი კარგად ახსოვს. სისასტიკით ცნობილი დამნაშავე, ღურუ ხურცილავაც გაიხსენა. „თვითმფრინავის ბიჭებიც“ ნახა ციხეში. ანგელოზივით ბიჭები იყვნენ, უდანაშაულოდ დახვრიტესო – გვიტხრა ქალბატონმა მერიმ.

რომანში ნუნუ ექიმის გამოჩენა ასე არის აღწერილი: „კარის დარბაზი გადაიხსნა და საკანში გაზაფხულმა შემოიხედა. გამაზრდობათ, ბოროტმოქმედებო, – თქვა ნუნუ ექიმმა და ბნეღისმომგვრელად გაგვიღიმა. – ნუნუ ექიმს გაუმარჯოს! – ამოიგმინა საკანმა და ყველანი ფეხზე წამოდგნენ. – რამეს ხომ არ უჩივით? რაო? ეს რა იკითხა ნუნუ ექიმმა, რამეს ხომ არ უჩივითო. ვუჩივით და მერე როგორ უჩივით, ნუნუ ექიმო, აბა, შემოგვხედვ, როგორ ფიქრობთ, არაფერს არ ვუჩივით? უქალობას ვუჩივით, უსიყვარულობას ვუჩივით, ქალის თვალთა ეშის გვაკლია, აღურსი გვაკლია, ცრემლი გვაკლია, ღიმილი გვაკლია... შენ კი გაზაფხულივით მოსულხარ, კვირტი ავფიქვითქვია, მკერდი გავიღვია, ორთავე მაჯა გადაგისხნია ჩვენთვის, ჩვენს ადუღებულ სისხლს დასწაფებისარ, სისხლისაგან დაგიცილივართ, თან უსინდისოთ გვეკითხები – რამეს ხომ არ უჩივითო, რამე ხომ არ გტკივათო, გვტკივა და მერე როგორ ვტკივა, ნუნუ ექიმო!“

ქალბატონო მერი, როგორ

დაიწყეთ ციხეში მუშაობა? – ქუთაისში ვცხოვრობდი, შემდეგ გავთხოვდი და ქმართან ერთად თბილისში, ნაქირავებ ბინაში გადმოვიყვანი. ბიძაჩემმა შემომთავაზა, ციხეში თუ შეძლებ მუშაობას, ექნის ადგილია თავისუფალი. რა თქმა უნდა დავთანხმდი. 1948 წლიდან ციხეში ვმუშაობ. ჩემს ხელში უამრავ პატიმარს გაუვლია. შეძლებისდაგვარად ცდილობდი თითოეული მათგანისთვის დახმარება გაემეწია. – ნოდარ დუმბაძის როდის შეხვედით? – 60-იანი წლების დასაწყისში. ნოდარი ძალიან ახალგაზრდა იყო. სასჯელს უდანაშაულოდ იხდიდა. რამდენიმე თვე შემდეგ გაათავისუფლეს. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ რამდენიმე თვე ვიცნობდი, საშუალოდ დამამახსოვრდა. ნოდარ დუმბაძე იმ ადამიანების რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებსაც ადვილად ვერ დაივიწყებ. – პირველად რომ წაიკითხეთ ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირალები“ რა გრძნობა დაგეუფლათ? – ის ამბები, რაც რომანშია აღწერილი, ჩემთვის ძალიან ნაცნობია, თითქმის ყველა პერსონაჟს პირადად ვიცნობდი. წიგნი რომ წაიკითხე, ჩემი თავი, რა თქმა უნდა, ვიცანი, მაგრამ ხმაძილება ვერ ვთქვი, მომერია. მერე ერთ-ერთმა პატიმარმა, რომელიც ნოდართან ერთად იჯდა საკანში, მითხრა – ნუნუ ექიმის პროტოტიპი შენ ხარო. ამ პატიმარმა ეს გამოაქვეყნა კიდევ. – ყოფილი პატიმრები იხსენებენ, რომ ძალიან ღამაზი იყავით... – ციხეში პატიმარს უღამაზო ქალიც კი მხეთუნახავად ეჩვენება. გაათავისუფლებულნი, როცა ქუჩაში მხედვებოდნენ, მეუბნებოდნენ ხოლმე – რა სიყვარული სცოდნია ციხესო. ქალისთვის მხოლოდ სიღამაზე საკმარისი არ არის, ღამაზად რომ ჩათვალო, კეთილშობილება და შინაგანი მომხიბვლელობა უნდა ჰქონდეს.

– ბევრ პატიმარს უყვარდით? – ბევრი თავყვანისმცემელი მყავდა, პატიმრებსაც ვუყვარდი და სხვა მამაკაცებსაც. მათ ყურადღებას არ ვაქცევდი, რადგან ოჯახი მყავდა. ქუჩაში რომ დავდიოდი, ასეთ სიტყვებს გამაყოლებდნენ ხოლმე – შენს გამზრდელ დედას ვენაცვალეო. დედა ადრე გარდაემეცვალა. მეოთხე კლასში ვიყავი როცა მამაც და-

მეღუპა. ბებია მზრდიდა. ობლობის მიუხედავად, სკოლაში თითო საწვენიბელი ბავშვი ვიყავი. – ციხიდან გამოსულ პატიმრებს თქვენთან დაახლოვება არ უცდიათ? – ყველას ვუყვარდი და იცით, რატომ? პატიოსანი ვიყავი, ამიტომაც მცემდნენ ასეთ დიდ პატივს. მსურდა, თითოეული ადამიანისთვის კარგი გამეკეთებინა, არ ყოფილა შემთხვევა, ვინმესთვის დახმარებაზე უარი მეთქვა. ერთ პატიმარს ძალიან ვუყვარდი, ხშირად მწერდა სასიყვარულო წერილებს. რამდენჯერმე ხელში გადმომცა ბარათები, მაგრამ დავიხე და სახეში მივყარე. როცა გაათავისუფლეს ჩემი სახლის მისამართი გაუგია და უბანში მომაკითხა. ჩემი შეზობლისთვის უკითხავს მერი ჯავახიძეს ქმარი მართლა ჰყავს თუ არაო. მეზობელს უთქვამს, ქმარიც ჰყავს და რომ შეიღიციო. ამ სიტყვების შემდეგ უკან გაბრუნებულა. იმ დღის შემდეგ ჩემთან ურთიერთობა აღარ უცდია. სახლში მოკითხვას ვვარაუდებ მიბედავდა, ვერც ქუჩაში დამეღალაპარაკებოდა ვინმე ცუდად. – სასიყვარულო ბარათებს არ ინახავდით? – რას ამბობთ, როგორ შევინახავდი ან სახლში როგორ წამოვიღებდი?! წერილები, აღარ ვიცი, რამდენი წელიწადი, ვხვდები და ვყრიდი. არც ერთი ბარათი შენახული არ მაქვს. თითქმის ყოველ დღე ვიღებდი პატიმრებისაგან ლექსებს. ერთხელ ერთმა ლექსი მომიძღვნა. წერილში მისი ვინაობა არ ეწერა. წლების შემდეგ ერთ-ერთი პატიმარი ტრამვაიში შემხვდა. ვერ ვიცანი, მან სწორედ ის ლექსი წამოკითხა, ბარათზე სახელი და გვარი რომ არ ეწერა. მაშინვე ვიცანი და მივხვდი, იმ ლექსის ავტორი ვინც იყო.

– ნოდარ დუმბაძე თუ გიძენიდათ ლექსებს, როგორი იყო შეყვარებული მწერალი? – ძალიან მორიდებული ბიჭი იყო. მისი ნახვისას, აღარ ვიცოდი, როგორ მეცა პატივი. ყოველთვის თავდახრილი იყო, თავმდაბლობით ყველასაგან გამოირჩეოდა. მიუხედავად ასეთი მოკრძალებული ბუნებისა, ერთი შეხვედრითვე გაგრძობინებდა, რომ არანეგულბრივი ბუნების იყო, ადვილად ვერაფერს გაუბედავდი. ძალიან მწყობრად გული, ცოცხალი რომ აღარ არის. მისი გარდაცვალება ჩემთვის დღემდე დიდი ტკივილია. – რომანის პერსონაჟები – ტიგრანა, ლიბონა და სხვები – ნოდართან ერთად იხსენდნენ

საკანში? – არა, მაგრამ როცა ზედამხედველებს გასასიყვრებლად გაჰყავდათ, ერთმანეთს ხვდებოდნენ და საუბრის საშუალებაც ჰქონდათ. ნოდარმა მათი ბუნება, დიალოგები მხატვრულად დაამუშავა და წიგნში ძალიან ღამაზად აღწერა. – პერსონაჟების იუმორი მწერლის ფანტაზიაა თუ მართლა ასეთები იყვნენ? – მათაც საოცარი იუმორი ჰქონდათ. რამდენიმე მათგანი ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა. სამწუხაროდ, მათი გამონათქვამები, სახუმარო ამბები აღარ მახსოვს. – „თეთრი ბაირალების“ პერსონაჟებს როგორ დაახასიათებდით? – ლიბონა კანონიერი ქურდი იყო. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ციხეში არავის აძლევდა უფლებას, დანაშაული ჩაედინა. თუ ვინმე ცუდს გააკეთებდა, დამნაშავეს თვითონვე სჯიდა, ხშირად ადმინისტრაციის წევრებსაც კი აღარ იყო საჭირო, ციხეში ყველაფერს აგვარებდა. ტიგრანაც რეალური პიროვნებაა, ისიც კანონიერი ქურდი იყო. მასში ქურდების სიტყვა სიტყვა იყო. მათ ნათქვამს ენდობოდი, ადამიანების დახმარებაც შეეძლოთ, პატივისცემაც იცოდნენ. – ლიბონა ღამაზი იყო? – ახალგაზრდა და ღამაზი იყო. – „ტანო ტატანო“ მართლა წაგიკითხათ? – ლექსებს ხშირად მიკითხავდნენ, მათ შორის ლიბონაც. * * * ნოდარ დუმბაძეს რომანში ლექსის წაკითხვის სცენა ასე აქვს აღწერილი: „დევდარიანმა ორთავე ხელი შეუცურა იღლივში შიშისაგან ენა ჩავარდნილ ნუნუ ექიმს, თავს ზემოთ ასწია, წამოიყვანა და შუა საკანში სკამზე დააყენა. ერთხანს ასე უყურა, ქვემოდან ზემოდ, მერე სამი ნაბიჯით უკან დაიხია, ორთავე ხელი მადლა აღაყრო, თავი ოდნავ გვერდზე გადახარა და ჩურჩულთ დაიწყო: ტანო ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო!“ – ქალბატონო მერი, პატიმრებს მართლაც ყოველთვის ლუმინალს აძლევდით? – ხუსტად ისე არ ყოფილა, როგორც რომანშია აღწერილი. ციხეში ყველანაირი წამალი გექონდა. ლუმინალს კი მართლა ხშირად ვაძლევდი პატიმრებს, რადგან ეს წამალი ადამიანებს ამშვიდებს, ძილს გვრის. დღეს ასეთ წამლებს ვეღარ გამოიყ-

კინოსტარები

ნებ, აკრძალულია. – ნოდარ დუმბაძე რას უწოდებდა? – ხშირად გულის წამლებს მოსოვდა. ვფიქრობდი ალბათ ესეც მატყუებს-მეთქი, მაგრამ თურმე მართლა აწუხებდა გული, ის ხომ გულით გარდაიცვალა. – ციხიდან განთავისუფლების შემდეგ მწერალი აღარ გინახავთ? – გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე საგანმეოფოში მოვიხახულე. ჩემი დანახვა ძალიან გაუხარდა, გულში ჩამიკრა. მანამდე არ მინახავს, მასთან შეხვედრა მერიდებოდა. – ბევრ ცნობილ პატიმარს შეხვედრიხართ, იქნებ რამდენიმე მათგანი გაიხსენოთ. – კარგად ვიცნობდი დურუ ხურცილავას. თითქმის ჩვენს სახლში გაიზარდა. (იცინის). ერთხელ კომენდანტურაში დამხვდა, მითხრა, მერი დეიდა, ისევე დამაპატიმრეს, მან მომიკლეს და მისი სისხლი ავიღე. მკვლეელი მოკალიო – კუბოში ვადაღებულ ი გარდაცვლილი ძმის სურათი მაჩვენა. – მის სისასტიკეზე ბევრს ჰყვებიან, მართლა დაუნდობელი იყო? – ერთხელ დურუმ ციხიდან გაქცევა მოახერხა და სოხუმის მისაღობებთან, ტყეში, იმაღლებოდა. ერთ დღეს ამხანაგთან ერთად ერთ-ერთ ოჯახში დამის გასათევად მიხულა. დიასახლისის შვილი ჯარში იყო. ქალი მოატყუეს – შენი შვილის მეგობრები ვართო. ქალი გამასპინძლებია და დასაძინებლადაც მოუთავსებია. მეორე დღით დურუ და მისი მეგობარი ისე გაქაჩაღან, რომ მასპინძელს თვალი ვერ მოუკრავს. ქალი დურუს მხრისთვის ოჯახში მისულა და უთქვამს – იმ კაცს მე რომ მომიყვანე, დამე შენს სახლში რატომ არ გაათავინებო. დურუ ამ სიტყვებზე გაბრაზებულია. მეორე დღით იმ ქალის სახლისთვის ბენზინი გადამხსნამს და ცეცხლი წაუკიდებია... მის სისასტიკეზე ბევრს ჰყვებოდნენ. სოხუმელები ძალიან უწოდდნენ. მის სასამართლო პროცესს მეც ვესწავრებოდი. ზედამხედველებმა დარბაზში ბორკილებით შემოიყვანეს. ბორკილები რომ მოხსნეს, თავისი მაისური გაკლიჯა და წელს ზემოთ გაშიშვლდა. მოსამართლე გაბრაზდა და დარბაზიდან გაიყვანეს. სასამართლო პროცესი მის გარეშე ჩატარდა. დახვრეტა მოუსაჯეს. ფიზიკურად ძალიან ძლიერი იყო, გაბრაზებული ყველაფერს ამტკიცებდა. – „თვითმფრინავის ბიჭებს“ ციხეში შეხვედრიხართ? – იმ ბიჭებზე არ მკითხოთ, მათზე რაიმეს თქმა ძალიან მიჭირს. – დიდხანს მათ ახლობლებს ატყუებდნენ, დახვრეტილები არ არიანო. თქვენ რა იცით მათ შესახებ? – უკვე გითხართ, მათზე ღამაზი ძალიან მიჭირს-მეთქი. სამწუხაროდ, ისინი დახვრეტეს. ყველაზე ბოლოს მღვდელი დახვრეტეს. ანგელოზივით ბიჭები იყვნენ. დღესაც არ მესმის, დასახვრეტად როგორ გაიმეტეს. irine mWedlize

შევიყვარებო. არ უყვარდა პირადულზე ლაპარაკი, მისგან ვერც ვერაფერს გაიგებდი. დღესაც რომ მიხვდეთ და ნახოთ მისი საფლავი, თითო ყვავილი ყოველთვის დევს და ეს ყვავილები მისი თავყვანისმცემელი ქალებისგანაა. ყველას გვიყვარდა მასთან ურთიერთობა, მასთან სახლში საათობით ვისხედით, ხან რაზე ვსაუბრობდით, ხან - რაზე, ან ნარდს ვთამაშობდით და ასე ვერთობოდით. იმდენად კარგი პიროვნება იყო, ყველა ცდილობდა მასთან ახლოს ყოფნას. მისი გარდაცვალების შემდეგ, ვიცი, ბევრს დაუტრიალებია, ჩემი მეგობარი იყო და სიცოცხლის ბოლო წუთებში მასთან ვიყავი. ყველაზე ახლოს მაინც, თუ ვინმე იყო მასთან, სოსო ლალიძე იყო.

ერთხელ, სპექტაკლ "ხანუშას" დამთავრების შემდეგ, ეროსი, რამაზ ჩხიკვაძე და სალომე ყანჩელი ელბაქიდის დადმართით წამოსულან მანქანით. უცებ, საიდანდაც მანქანა გამოჩნდა და ესენი კინაღამ ამოყარავენ ულან. ამ დროს ეროსის არანორმალური სიცილი ასტეხია. რამაზს უკითხავს, რა გაცინებსო. რა და, წარმოვიდგინე, სამივეს ერთად რომ გამოგვასვენებდნენ თეატრიდან, რა სანახავეები ვიქნებოდით ამ კოსტუმებშიო. ეროსი ფანტიაშივის კოსტუმში ყოფილა, სალომე - ხანუშასი, რამაზი - აკოფასი.

მიუხედავად იმისა, რომ ეროსი ძალიან რბილი და ხალისიანი კაცი იყო, გულის მოსვლაც იცოდა. "ნატერის ხეს" ვიღებდით სიღნაღში, სასტუმროში ვცხოვრობდით. გადაღებაზე მოვიდნენ კახელები და წავიყვანეს საქვიფოდ. დიდი მხიარულება იყო. უცებ ადგა ვიღაც სუფრის წვერი და ეროსის ეუბნება - ბატონო ეროსი, იქნებ ფეხბურთის რეპორტაჟი წავიკითხოო. გაცოცდა ეროსი, რა გქნა, კაცო, ფეხბურთის რეპორტაჟი როგორ უნდა წავიკითხოო, თუ ფეხბურთს არ ვუყურებო. თავიდან ხუმრობდა ჩათვალა, მაგრამ ამ კაცმა არ მოასვენა - გინდა თუ არა, უნდა წავიკითხოო. რომ ნახა, სერიოზულად იყო საქმე, ადგა და წავიდა - არც თქვენი პურისსჭამა მინდა არც არაფერიო.

boris wifuria:
- ორშაბათობით თეატრში დასვენების დღე იყო. ერთ ორშაბათ დილას თეატრის ფოიეში შემთხვევით მოვიყარეთ თავი რამდენიმე მსახიობმა. ეროსიც მოვიდა. ყველას გაგვიხარდა მისი დანახვა, მაგრამ თვითონ ხმას არ იღებდა, ცუდ ხასიათზე იყო, სიგარეტს ზედიზედ აბოლებდა. რა იყო, რამე ცუდი ხომ არ მოხდა მეთქი, ვკითხე. არა, არაფერი, რაღაც ხასიათზე არა ვარო. ჩავაცვივდი რატომ მეთქი. თავი გამანებე რას გადამეკიდეო - მითხრა. მერე, როგორც იქნა, თქვა, ცუდი სიზმარი ენახე წუხელ, სერგო ენახე, ზაქარიაძე, ნეტავ, რა უნდა ჩემგან, რა დავუშავეო. მიცვალე ბულების სიზმარში ნახვა კარგია-მეთქი, გული გავუკეთე იცი, რა მითხრა, სად ხარ, ეროსი, რამდენი ხანია გეძებ, აუცილებელი საქმე მაქვს შენთან და მოდიო. ამ ლაპარაკში თვალი მოეკარი რამაზ ჩხიკვაძეს, რომელიც თეატრში შემოდიოდა. გავედი გარეთ და კართან ვუბნებდი, რამაზ, ეროსი გაგიკუბულია, სერგო უნახავს წუხელ სიზმარში და აბა, შენ იცი- მეთქი, შევამზადე. იმ

წუთასეუ გამოვტრიალდი და შემოვედი ისევე ფოიეში. ამ დროს რამაზი მოგვიახლოვდა, ყველას მოგვესალმა, მერე მიუბრუნდა ეროსის და უთხრა, სადა ხარ, კაცო, დილიდან გირეკავ, არ იღებდი ტელეფონსო. რა იყო, რა მოხდაო. წუხელ უცნაური სიზმარი ენახე. ამის თქმაზე ყველა გაშეშდა. რა ნახეო - ვკითხე. ეროსი. რა ენახე და სერგო ენახე, ზაქარიაძე, მოვიდა და მეკითხება, ეროსი ხომ არ გინახავსო. თუ ნახე აუცილებლად მოვიდეს ჩემთან, სერიოზული საქმე მაქვსო. ეროსის ფერი დაეკარგა, გადაირია კინაღამ. ვაიმე რა უნდა ამ კაცს ჩემგან, რას გადამეკიდებო - ამბობს. შემდეგ რამაზმა უთხრა, ვიხუმრე კაცო, არაფერიც არ მინახავსო. ეროსი მაინც არ მშვიდდებოდა, მე ხომ ენახეო. ყველანი ვაწყნარდებით. მერე გადავწყვიტეთ, რომ პატივი გვეცა ბატონი სერგოს სსოფინასთვის. ვიყიდეთ დვინო და ავედით მთაწმინდაზე, თითო ჭიქა წავუჭვიეთ საფლავზე.

თავმდაბალი კაცი იყო, მარტოხელა, მაგრამ მარტობა არასოდეს უგრძობია. არ მახსოვს სადამო, რომ მასთან სახლში სამ მეგობარზე ნაკლები შეკრებილიყო. საოცრად უყვარდა ინტროუგებისა და ჭორების მოსმენა. თუმცის პატივი იყო, სახალისო რამეებს ყვებოდა. როცა ვეჭვიფობდით, რაც უნდა მხიარულება ყოფილიყო, უცებ გადმოგებახებდა - აბა, დავიშალოთო და ჩვენც უმად ვიშალებოდით. ერთხელაც რომ თქვა ასე, მეწყინა და ვუსაყვედურე. რა გქნა, ჩემო კარგო, სანამ დავიძინებ, მინდა, ცოტა დრო დამრჩეს წიგნის წასაკითხად, არ გეწყინოსო - მიპასუხა.

ერთხელ ზუგდიდში ვართ ფილმ "მთვარის მოტაცების" გადაღებაზე. ეროსი გვანჯი აფაქიძეს თამაშობდა. ერთ დღესაც ჩემმა მეგობარმა, ოთარ ჭითანავამ, მითხრა, რომ ჩვენი იქაური ნათესავი, კარის მეზობელი გარდაიცვალა და დედანემიც სატირალში იყო ჩასული. ის კაცი რაღაც ვერ გავიხსენე, მაგრამ დედის ნახვა ძალიან მომინდა და ეროსის ვთხოვე ზუგდიდში წამომყვები, დედანემ უნდა ენახო მეთქი. ისიც სიამოვნებით დამთანხმდა, მაგრამ არ გავუმხილე, რომ გასვენებაში ვეპატიუებოდი. მივადექით ხალხით სავსე ქუჩას. რა ხდებო მკითხა. ისეთი არაფერი, შენთვის იჯექი მანქანაში, მე კი წუთით შევალ, დედანემ ენახე და გამოვალ მეთქი. უცებ დედანემამ მორთო ღრიალი - შენ საიდან განწი ამ მძიმე წუთებში, შვილო როგორ გაიგეო ჩვენი უბედურებაო. მერე მე და დედა გარეთ გამოვედით და რაღაცაზე ვსაუბრობდით. მანქანამდე გამომაცივლა, მკითხა ვინ გიხის მანქანაშიო. ამხანაგი-მეთქი, ვუპასუხე. კარგად რომ დააკვირდა, ეროსი შეიცნო და ხმამაღლა მორთო კივილი - დიდუუ, ეროსი, ხალხო, ნახეთ, ეროსი მოსულა, ადექი, შე უბედურო, ადექი და მიეგებე. ნახე, ვინ დგას შენ კართანო, - გასძახა მიცვალე ბულებს. ეროსის ვუხერხულა და თავი ჩაღუნა. არ იცოდა რა ექნა. ღამის გავიდა. დედანემი სასწრაფოდ გვერდზე გავიყვანე, დავეშვიდობე, ჩაგბტი მანქანაში და ქაღალქის ცენტრამდე აღარ შემინერებია. რა გქნა, ასეთია დედანემი-მეთქი, ვუბოდიშებდი. არა უშავს კაცო, რას მე ბოლიშები, წამოდი, იმ კაცის შესაწოდობარი დავლიოთო - მითხრა.



ქართველების ერთად ყოფნა დაბვილოცა ღმერთო!

დააკვირდით ამ სურათს და მიხვდებით, რომ ამ სიმღერას მღეროდა ნუგზარ ძნელაძე, როცა ფოტო-აპარატმა ეს კადრი გაგვიყინა. ვინც მოხვედრილა რესტორან „თბილისში“, დამეთანხმება, რომ სხვა ხიზლი აქვს აქ ნამღერ ქართულ სიმღერას, საცეკვაოდ გაშლილ ხელს და ხმამაღლად წარმოთქმულ საქართველოს სადრეგრძელს. ნამდვილად არის რაღაც, რაც ნიუ იორკში მომრავლებულ რუსულს თუ მოქართულს რესტორნების ფონზე ყოველთვის გათქმევიანებს: „თბილისში“ წავიდეთ რა... მოდით, დღეს მაინც ვაღიაროთ, რომ ის რაღაც თუ ვიღაც, ნუგზარ ძნელაძეა, ჩვენი კოლორიტი, ნიუ იორკში მდებარე რესტორან „თბილისის“ ქართველი მომღერალი, საქართველოს „ოფიციალური“ ტრუბადური ამერიკაში... - ნუგზარ, ბარძიმაშვილი რომ მღეროდა, ის დაუქარა რა... - აქანა ნუგზარა, ქუთაისელები ვართ ძმაო და თეთრი ხიდიდან გადასაფრენი სიმღერები გვესროლე... - ბიჭო, ვერ გცეკვავე ამ ოსურს და გადააკეთე

თუ ძმა ხარ შალახო... ნუგზარი ყველა შეძახილს სიყვარულით ჰაერშივე იჭერს, გაშლის ხელს და მოკლედ რომ ვთქვა, ავტომატის კალიბრისოდენა ცრემლებით სატირალი ჰანგები იღვრება დარბაზში. არა! სიმღერები კი არ არის სატირალი, არამედ ნოსტალგიით, გრძნობით, გულიდან ერთი ამოხეთქვით, სათითაოდ ნაფერები სიტყვებია, რომ არასოდეს გავიწყებს სამშობლოს შენსას და სიამაყით გავსებს. შენით გვიხარია „თბილისში“ მოსვლა ნუგზარ... და საერთოდ, ახლობელი თუ შორეული შტატებიდან ხშირად მხოლოდ შენი სიმღერებისათვის ჩამოვდივართ, იმიტომ რომ, პატარა სამშობლოს გვიკმნი, მოგონებებით საღერლელს გვიშლი და ვინ იცის, როგორ გვეხმარები სამშობლოში დაბრუნებამდე დარჩენილი დღეების გატარებაში. მანდ, შენს თვალწინ ბევრი სადღერძელი შესმულა, ახლა მეგობარი სუფრიდან, გახეთ „მამულიდან“ დაგლოცავთ და გეტყვი: ღმერთმა გაგიმაროს!

შენი
მანუჩარ კაჭახიძე

გაზეთი მამული გთავაზობთ:


საქართველოს ახალი დროშის სამკერძო ნიშნებს

შეძენა შეგიძლიათ მხოლოდ:
ქართული პური
265 Neptune Ave.
Brooklyn, NY 11235

გამოიწერეთ მამული

სურვილი მაქვს გამოვიწერო გამეთის:

12 ნომერი საერთო ღირებულებით 10 დოლარი

24 ნომერი საერთო ღირებულებით 18 დოლარი

*უნდა მონიშნოთ თქვენთვის სასურველი ვარიანტის უჯრედი

(სახელი და გვარი ბეჭდური ასოებით)

(ქუჩის დასახელება, აპარტამენტის N)

(მიუთითეთ მხოლოდ ZIP-CODE და გელეფონი)

შენიშვნები: 1. ხელმოწერის ვადაში ხელმოწერათვის გაზეთის ფასი უცვლელი დარჩება. 2. ფასში გათვალისწინებულია საფოსტო მომსახურების ღირებულება. 3. იმ შემთხვევაში თუ კი გაზეთს საჩუქრად უწევთ მეგობარს, გთხოვთ შემოხაზოთ წრე სახელწოდებით **საჩუქარი** და ცალკე ფურცელზე დაურთეთ თქვენი მისამართი. 4. მიიღება ჩეკი ან მანი ორდერი შევსებული **MAMULI Newspaper** სახელზე.

ამოჭერთ და გამოგზავნეთ
MAMULI Newspaper
P.O. Box 13121
Jersey City, NJ 07303

○ **საჩუქარი**



ԱՆՏԵՆՏԵՐԵՆ ԳՐՈՒՄԸ «ԱՆՏԵՆՏԵՐԵՆ ԳՐՈՒՄԸ» ԲՈՒՆՏԵՐԵՆ ԳՐՈՒՄԸ...

ԵՎՈՔ ԱՆՏԵՆՏԵՐԵՆ ԳՐՈՒՄԸ, ՕՐԻ Ի ԿՐՈՒՄԸ...

ՕՐԻ ԿՐՈՒՄԸ ԵՎՈՔ ԱՆՏԵՆՏԵՐԵՆ ԳՐՈՒՄԸ...

ԵՎՈՔ ԱՆՏԵՆՏԵՐԵՆ ԳՐՈՒՄԸ ԵՎՈՔ ԱՆՏԵՆՏԵՐԵՆ...

ՕՐԻ ԿՐՈՒՄԸ ԵՎՈՔ ԱՆՏԵՆՏԵՐԵՆ ԳՐՈՒՄԸ...

ԵՎՈՔ ԱՆՏԵՆՏԵՐԵՆ ԳՐՈՒՄԸ ԵՎՈՔ ԱՆՏԵՆՏԵՐԵՆ...

ՕՐԻ ԿՐՈՒՄԸ ԵՎՈՔ ԱՆՏԵՆՏԵՐԵՆ ԳՐՈՒՄԸ...

ՍԵՆՏԵՐԵՆ ԳՐՈՒՄԸ



ԱՆՏԵՆՏԵՐԵՆ ԳՐՈՒՄԸ ԵՎՈՔ ԱՆՏԵՆՏԵՐԵՆ...

ՕՐԻ ԿՐՈՒՄԸ ԵՎՈՔ ԱՆՏԵՆՏԵՐԵՆ ԳՐՈՒՄԸ...

ԻՆՏԵՆՏԵՐԵՆ ԳՐՈՒՄԸ

25 აპრილს 2004 • 5:00 საღამოს

INTERNATIONAL CONCERT

Vivaldi

MUSIC



Miller Theatre

2960 Broadway (116st)
www.millertheatre.com



თამარ ქურლაბე



სერგეი პავლოვიჩი



ოქსანა ბარასოვა



ბორის კორკობოვ



ტატიანა მარტინკოვსკაია



ნინო ნალიბიძე



ნინო იმედაძე



The Dancing Crane



თამილა გატიკაშვილი



ლიანა ირემაშვილი

БИЛЕТЫ:

Манхэттен: 212-203-6067
Бруклин: 718-615-1500
Квинс: 718-897-4500
Нью-Джерси: 201-333-2200

Заранее - \$50
Перед началом - \$55

Columbia University student discount with ID

Сюрпризы и подарки.
American Reception and Art corner


212-579-9755

შეგიძლიათ გამოიწეროთ სახლიდან გაუსვლელად:

[609] 517-2278



წინოვლო ქართული ყველგან



საერო და საეკლესიო დღესასწაულები, მარხვისა და ხსნილის თარიღები, ქართული ლექსები, ლოცვები, შესანიშნავი საქართველოს ხედები, უწმიდესის მილოცვები...

უეიკენი

კალენდარი შეგიძლიათ შეიძინოთ:

ქართული ჭური

265 Neptune Ave. Brooklyn, NY 11235

Caucasus Express

471 Brighton Beach Ave. Brooklyn, NY 11235

БЕЛЫЕ НОЧИ

Discount Store +
2910 Brighton 8th Street Brooklyn, NY 11235

Launa Store
1037 Brighton Beach Ave

Hallmark

Bus Terminal
625 8th Avenue
New York City, NY 10018